



**სს შიპრობანკი  
ჯაბისი**

**ნახევარი წლის  
ინდივიდუალური  
ფინანსური ანგარიშგება**

2025 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო  
პერიოდისათვის

საქართველოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანებისა და IAS 34 სტანდარტის „შუალედური ფინანსური რეპორტირების“ შესაბამისად, წარმოგიდგინებ სს მიკრობანკი „ემბისის“ (ს/კ 404967078) ნახევარი წლის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშგებას.

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისს დასრულებული ნახევარი წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

**მურმან ამბროლაძე**



გენერალური დირექტორი

**გია პეტრიაშვილი**



სს მიკრობანკი „ემბისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	30 ივნისი 2024
<b>აქტივები</b>			
ნაღდი ფული და ფულადი სახსრები	6,690	16,039	15,567
ანგარიშებზე			
მთლიანი სესხები	144,298	119,464	107,289
სხვა აქტივები	1,877	714	1,939
საგადასახადო აქტივი	266	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	74	74	-
არამატერიალური აქტივები	671	659	346
აქტივის გამოყენების უფლება	5,520	5,102	4,913
ძირითადი საშუალებები	2,696	2,951	2,492
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>162,091</b>	<b>145,003</b>	<b>132,546</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სუბორდინირებული სესხები და სხვა მიღებული სესხები	124,110	113,705	103,092
საიჯარო ვალდებულებები	5,287	5,475	4,753
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	-	51
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	325	423	470
სხვა ვალდებულებები	4,851	2,159	1,773
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>134,574</b>	<b>121,762</b>	<b>110,138</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	2,255	2,255	2,255
საემისიო კაპიტალი	1,136	1,136	1,136
პრივილეგირებული აქციები	6,989	6,989	6,989
გაუნაწილებელი მოგება	17,137	12,861	12,028
<b>მთლიანი კაპიტალი</b>	<b>27,517</b>	<b>23,241</b>	<b>22,408</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>162,091</b>	<b>145,003</b>	<b>132,546</b>

სს მიკრობანკი „ემბისი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2025	30 ივნისი 2024
საპროცენტო შემოსავალი	17,709	13,605
საპროცენტო ხარჯი	(6,228)	(5,229)
<b>წმინდა საპროცენტო მოგება (ზარალი)</b>	<b>11,481</b>	<b>8,376</b>
საკომისიო შემოსავლები	531	1,838
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	150	1,063
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(1,340)	(1,417)
<b>საოპერაციო მოგება (ზარალი)</b>	<b>10,823</b>	<b>9,860</b>
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	2,154	(560)
პერსონალის ხარჯები	(4,836)	(4,306)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,048)	(822)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,590)	(1,416)
<b>მოგება (ზარალი) გადასახადებამდე</b>	<b>5,502</b>	<b>2,756</b>
მოგების გადასახადი	(325)	(490)
<b>წმინდა მოგება (ზარალი)</b>	<b>5,177</b>	<b>2,266</b>

**სს მიკრობანკი „ემბისი“**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)**

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>30 ივნისი 2025</b>	<b>30 ივნისი 2024</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>5,177</b>	<b>2,756</b>
კორექტირებები:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	(2,154)	560
წმინდა ცვლილება დარიცხულ პროცენტებში	784	(25)
ფინანსური აქტივების სახელმძეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება (ზარალი)	(241)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,048	822
ბონუსი, აუდიტი და სხვა დარიცხული მომსახურების გადასახადი	-	-
დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	3	-
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება	117	137
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)	(150)	25
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე</b>	<b>4,584</b>	<b>4,275</b>
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში		
მთლიანი სესხები	(24,834)	(6,144)
სხვა აქტივები	(1,581)	80
საგადასახადო აქტივი	(266)	-
სხვა ვალდებულებები	2,406	(786)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>	<b>(19,691)</b>	<b>(2,575)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	255	40
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(12)	23
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>	<b>243</b>	<b>63</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:</b>		
მიღებული სხვა ნასესხები სახსრები	64,745	55,407
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	(54,530)	(42,382)
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,001)	(818)
გადახდილი დივიდენდები	(455)	(435)
<b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>	<b>8,759</b>	<b>11,773</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)</b>	<b>(10,689)</b>	<b>9,260</b>
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	16,039	6,286
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	1,340	21
<b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>6,690</b>	<b>15,567</b>

**სს მიკრობანკი „ემბისი“**

**ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ (არააუდიტირებული)**

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემია	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>2024 წლის 1 იანვარი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>10,197</b>	<b>20,577</b>
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	2,266	2,266
				(435)	(435)
<b>2024 წლის 30 ივნისი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>12,028</b>	<b>22,408</b>
<b>2025 წლის 1 იანვარი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>12,861</b>	<b>23,241</b>
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	5,177	5,177
				(901)	(901)
<b>2025 წლის 30 ივნისი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>17,137</b>	<b>27,517</b>

## 1. ზოგადი ინფორმაცია

ბაზარზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფორმით, 12 წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, 2024 წლის 5 დეკემბერს კომპანიამ საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია მიიღო და საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მოპოვების შემდგომ, კომპანია საქმიანობას განაგრძობს სს მიკრობანკი „ემბისის“ საფირმო სახელწოდებით, საიდენტიფიკაციო კოდით - 404967078 (შემდგომში „კომპანია“/„მიკრობანკი“).

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით, ლიცენზიის მოპოვებამდე კომპანიის საქმიანობა ეფუძნებოდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდგომ კი, „ემბისი“ თავის საქმიანობას წარმართავს მიკრობანკების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

კომპანიის მიზანია კლიენტებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და კლიენტებთან გრძელვადიანი, გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნება, ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ეკონომიკის მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელია და კომპანიის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც აირჩვიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორატის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე. დირექტორატის თითოეული წევრი კოლექტიურად აგებს პასუხს მიკრობანკის საქმიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს დირექტორატის შემადგენლობას.

საქართველოს მასშტაბით მოქმედებს კომპანიის 17 სერვის ცენტრი. სათავო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქეთევან დედოფლის N 68, I სართული, საოფისე ფართი N2.

კომპანიის აქციებს სრულად ფლობენ აქციონერთა ჯგუფის წევრები. 2024 წლის და 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, არ არსებობს კომპანიის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე. 2024 წლის და 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის აქციების მფლობელთა წილების გადანაწილება უცვლელი იყო და წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

30 ივნისი 2025

მეწილეები	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ღირებულება	A ტიპის პრივილეგირებული აქციების რაოდენობა	B ტიპის პრივილეგირებული აქციების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	31.76%	716,000	27,000	100
ოთარ რუხაძე	14.42%	325,000	108,000	400
თენგიზ მაზიაშვილი	9.29%	209,500	33,750	125
ტარას ნიჟარაძე	8.25%	186,000	99,900	190
მურმან ამბროლაძე	7.98%	180,000	13,500	50
გოდერძი მელაძე	6.65%	150,000	40,500	150
გიორგი გოტოშია	6.65%	150,000	13,500	50
გიორგი ვაჩნაძე	5.48%	123,500	14,850	55
JB LLC	2.66%	60,000	27,000	100
ეთერ ჩაჩიბაია	2.00%	45,000	-	-
გიორგი ღვალაძე	1.95%	44,000	-	-
თათია ჯაჯანაშვილი	1.49%	33,500	-	-
ნინო დევდარიანი	1.42%	32,000	-	-
	<b>100%</b>	<b>2,254,500</b>	<b>378,000</b>	<b>1,220</b>

## 2. მომზადების საფუძვლები

### ანგარიშების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსაღვენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, კონსტრუქციული მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

### შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს სურვილი აქვთ, კომპანია განაგრძობს საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

### 2025 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2025 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში).

2026 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

### ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში).

ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

#### ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვალებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;

- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

### **ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა

მთლიანი შემოსავლის ასახვით;

- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო

ვადა ან მოცულობა.

**ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება.** წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

### **ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).**

ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად;
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასკ-ის მიერ გამოშვებულ ამ და სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია შეიმუშავებს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებსა და დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- **დეფოლტის ალბათობა.** დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, მისი გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- **ზარალი ვალდებულების მუხრულებლობის შემთხვევაში.** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც მოელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- **დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).** დეფოლტის რისკის პოზიცია წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ის წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილ მაჩვენებელს.
- **საპროგნოზო სცენარების დადგენა.** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

#### იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახადები

კომპანია იჯარის ვადის დადგენისას განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიქარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიქარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიქარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიქარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის

განსაზღვრისას.

კომპანია ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის, დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განსაზღვრავს ძირითად განაკვეთს, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის საგნის) მახასიათებლებით.

ვინაიდან, ზოგადი მიდგომით, იჯარის ხელშეკრულება ხშირად არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის ხელშეკრულების განახლების/ავტომატური გაგრძელების შესახებ, ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში, განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

### **უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება**

ორგანიზაციაში უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულება შეფასება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #118/04 „მიკრობანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის“ და საერთაშორისო შეფასების სტანდარტებზე (IVS) დაყრდნობით.

### **გადასახადები**

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადებთან დაკავშირებული რისკები.

## 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. წინამდებარე შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს აღნიშნული რისკების სამართავად და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი რიცხოვრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პროცესების შიდა ორგანიზაციულ დონეზე ეფექტურად დანერგვისთვის მას პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება დელეგირებული აქვს კომპანიის ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისთვის. მენეჯმენტის საერთო მიზანია, შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების დადგენილი რისკების აპეტიტთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე.

კომპანიის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

- **საკრედიტო რისკი:** მიკრობანკის საქმიანობიდან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. რისკი გამოწვეულია ფინანსური ტრანზაქციის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, რაც კონტრაგენტის ფინანსურ ზარალს იწვევს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიშობა მიკრობანკის საკრედიტო საქმიანობის და პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარეგანობის ვალდებულებების გაჩენას. ცხადია, საკრედიტო რისკი მიკრობანკებისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია. მიკრობანკის საკრედიტო სტრატეგია დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის შექმნა და ამასთან მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნებაა. საკრედიტო რისკების მართვის მიზნით გამართული პოლიტიკა/პროცედურების შემუშავებაზე, ინდივიდუალური ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მისაღები რისკის დონის ფარგლებთან შესაბამისობაზე, პორტფელში არსებული საკრედიტო რისკების დროულ აღმოჩენაზე, გაზომვასა და მონიტორინგზე, პრობლემური აქტივების მართვის ჯგუფთან და შეფასების ჯგუფთან კოორდინირებული თანამშრომლობით, პასუხისმგებელია მიკრობანკის საკრედიტო რისკების განყოფილება, რომელიც დირექტორატის წინაშე ანგარიშგებას ყოველთვიური სიხშირით უზრუნველყოფს;

- **საოპერაციო რისკი:** გულისხმობს ზარალის რისკს, რომელიც მიკრობანკმა შესაძლებელია მიიღოს არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესებით, სისტემების ჩავარდნით/უმოქმედობით, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის ან სხვა გარე შემოქმედების გამო, მათ შორის ისეთი რისკების ჩათვლით, როგორცაა კიბერშეტევები და სხვა;

- **ლიკვიდობის რისკი:** წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურაში არსებული შეუსაბამობებიდან. აღნიშნული შეუსაბამობა ქმნის რისკს იმისა, რომ მოზიდული სახსრების დაფარვის ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების მომენტში მიკრობანკს არ აღმოაჩნდეს საკმარისი ლიკვიდური რესურსები;

- **საბაზრო რისკი:** საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვალებადობის შედეგად, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების

მერყეობით. იგი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთების რისკს და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი გენერირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებით, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ბაზარზე არსებულ ზოგად და სპეციფიკურ ცვლილებებთან, ისე საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილებებთან;

• **სავალუტო რისკი:** მიკრობანკი სრულად აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული შესაძლო დანაკარგების რისკს. სავალუტო რისკთან მიმართებაში მიკრობანკის სტრატეგია არ ჩაერთოს სპეკულაციურ ოპერაციებში ღია სავალუტო პოზიციების მეშვეობით;

• **საპროცენტო განაკვეთის რისკი** წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე;

• **შესაბამისობის რისკი:** წარმოადგენს რისკს, რომ მიკრობანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად, რის შედეგადაც შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი;

• **მაკროეკონომიკური რისკი:** წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მშპ-ს შემცირება, უმუშევრობის დონის ზრდა ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე;

• **ESG რისკები:** მიკრობანკს საკუთარი საქმიანობით შესაძლოა პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზეგავლენა ჰქონდეს საზოგადოებაზე და გარემოზე, სადაც ის ოპერირებს. შესაბამისად, აქვს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკები. კერძოდ, საკუთარი საქმიანობით გარემოზე ან საზოგადოებაზე გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ზეგავლენების რისკი. ასევე, დაკრედიტების პროცესში მიკრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების საქმიანობით გარემოზე ან ადამიანებზე მიყენებული შესაძლო ზიანის რისკი.

### **საკრედიტო რისკის მართვა**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა/პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის, ასევე აღიარებაშეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის).

საკრედიტო რისკების პოლიტიკა/პროცედურები განსაზღვრავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- ვალდებულების უზრუნველყოფების შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მონიტორინგის პროცედურებს.

მიკრობანკი რეგულარულად აფასებს და ახორციელებს კლიენტების გადახდისუნარიანობის მუდმივ მონიტორინგს. მისი მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ჯგუფის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან/და კომპანიის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და პროაქტიულად განეიტრალებას.

რისკების დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ამასთან, მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-6 შენიშვნაში).

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2025	30 ივნისი 2024
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	659	10,767
კლიენტებზე გაცემული სესხები	144,298	107,289
სხვა აქტივები	1,877	1,939
	<b>146,834</b>	<b>119,995</b>

**ლიკვიდობის რისკის მართვა**

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურაში არსებული შეუსაბამობებიდან. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი სხვადასხვა ტიპის არის და ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

მიკრობანკის ლიკვიდობის მართვის ამოცანაა, უზრუნველყოს ფულადი თანხების ხელმისაწვდომობა, დამდგარი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდობის რისკის მართვა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ცხრილებში განხილული მთლიანი გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ათას ლარში)

<b>30 ივნისი 2025</b>					
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>3 თვემდე</b>	<b>3 თვიდან 1 წლამდე</b>	<b>1-დან 5 წლამდე</b>	<b>5 წელზე მეტი</b>	<b>სულ</b>
სხვა ნასესხები თანხები	5,985	24,331	88,349	53	<b>118,718</b>
სუბორდინირებული სესხები	0	0	5,391	0	<b>5,391</b>
საიჯარო ვალდებულება	0	82	3,735	1470	<b>5,287</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,470	0	0	0	<b>3,470</b>
	<b>9,455</b>	<b>24,413</b>	<b>97,475</b>	<b>1,523</b>	<b>132,866</b>

**სავალუტო რისკების მართვა**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში.

მიკრობანკის სავალუტო რისკი დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. კომპანიაზე სავალუტო რისკის ზეგავლენა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

(ათას ლარში)

<b>30 ივნისი 2025</b>		
<b>ფინანსური აქტივები</b>	<b>ლარი</b>	<b>აშშ დოლარი და სხვა ვალუტები</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,352	3,339
გაცემული სესხები	143,779	519
სხვა ფინანსური აქტივები	1,863	14
	<b>148,994</b>	<b>3,872</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
სხვა ნასესხები თანხები	70,586	48,132
სუბორდინირებული სესხები	0	5,391
საიჯარო ვალდებულებები	3013	2,274
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,097	373
	<b>3,097</b>	<b>56,170</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი</b>	<b>-57,836</b>	<b>56,889</b>
<b>წმინდა ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>88,061</b>	<b>4,591</b>

## **კაპიტალის მართვა**

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია:

- კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებს;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

მიკრობანკი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას, მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შესაძლოა დააკორექტიროს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაასხვისოს აქტივები, ვალის დაფარვის მიზნით.

## **დივიდენდის განაწილება**

დივიდენდის განაწილების ვალდებულება შეზღუდულია კომპანიის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2025 წელს იანვრის თვეში კომპანიამ პრივილეგირებული აქციების მფლობელ აქციონერებზე გასცა დივიდენდი, 455 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2024 წელს - 866 ათასი ლარის ოდენობით. 2025 წლის ივნისში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პრივილეგირებული აქციების მფლობელ აქციონერებზე დივიდენდის სახით 446 ათასი ლარის განაწილების თაობაზე. დივიდენდის გაცემა განხორციელდა სააღრიცხვო პერიოდის შემდეგ, 2025 წლის ივლისში.



**სს შიპრობანკი  
ჯაბისი**

**2025 წლის ნახევარი წლის  
მმართველობითი  
ანგარიშგება**

## **ჩვენ შესახებ**

საქართველოს მასშტაბით არსებული 17 სერვისცენტრი, 144,3 მილიონი ლარის პორტფელი, 162 მილიონი ლარის აქტივები და 198 ათასზე მეტი მომხმარებელი - აღნიშნული შედეგებით „ემბისი“ განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და როგორც მიკრობანკი, მომხმარებელს უკვე სთავაზობს როგორც საკრედიტო, ასევე არასაკრედიტო პროდუქტებს.

კომპანია ისწრაფვის შექმნას მცირე მეწარმეობისა და ფერმერობის განვითარების შესაძლებლობა და ამ გზით, ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას და ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. მიკრობანკის ლიცენზიის მიღებასთან ერთად, კომპანიის სამიზნე აუდიტორია გაიზარდა და მოიცავს ასევე საშუალო ბიზნესს.

2025 წელს, ზედიზედ მეოთხედ, „ემბისი“ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს კონკურსის („BARTA“) გამარჯვებული გახდა. მნიშვნელოვან მოვლენებს შორისაა, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, „თიბისი კაპიტალის“ მხარდაჭერით, 22 მილიონი ლარის 2 წლიანი ობლიგაციები განთავსება. აღნიშნული ემისია 60 მილიონი ლარის ობლიგაციების პროგრამის პირველი ტრანშია. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების ერთ-ერთი ინვესტორი საქართველოს საპენსიო ფონდია - ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს საპენსიო ფონდი მიკრობანკის ფასიან ქაღალდებს ყიდულობს.

## **2025 წლის პირველი ნახევრის მიმოხილვა**

2025 წელი სტაბილური ბაზრის მაჩვენებლებით და მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევა. წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 6.3% შეადგინა, ხოლო 2025 წლის პირველი ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელი 8.3%-ით განისაზღვრა. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით, წლიურმა ინფლაციამ 4% შეადგინა, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ - 2,13%, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით 164%-ით მეტია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2024 წლის მაისიდან მოყოლებული არ შეცვლილა, რაც ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი განაკვეთის შემდგომი ნორმალიზების მიმართ ფრთხილ მიდგომას ინარჩუნებს. 2025 წელს გაიზარდა აშშ დოლარის ლარში ჰეჯირების განაკვეთი, რომელიც 2024 წელს საშუალოდ 4,2% იყო, ხოლო 2025 წლის პირველ ნახევარში 5,2%-მდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება მატერიალურ უარყოფით გავლენას ახდენს ჰეჯირების ხარჯებზე და მიკრობანკის ფინანსურ შედეგებზე. 2025 წლის პირველ ნახევარში ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 3%-ით გამყარდა.

## **ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

2025 წლის პირველ ნახევარში „ემბისიმ“ წარმატებით მოახერხა ძირითადი საქმიანობით მიღებული შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. 2025 წლის ივნისის თვის ბოლოს, 2024 წლის დეკემბერთან მიმართებაში, მთლიანი სასესხო პორტფელი 20.79%-ით გაიზარდა და 144 მილიონი ლარი შეადგინა. 2024 წელს და 2025 წლის პირველ ნახევარში ახალი სერვის ცენტრები არ გახსნილა, კომპანიამ გადაწყვიტა, ეფექტურად გამოიყენოს არსებული რესურსი და გაზარდოს გასულ წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი სერვის ცენტრების სასესხო პორტფელი, რაც დაეხმარება აგრო და მცირე ბიზნეს სესხების წილის ზრდას მთლიან სასესხო პორტფელში.

2025 წელს გაიზარდა „ემბისის“ აქტიური მსესხებლების რაოდენობაც და ზრდის მაჩვენებელმა ივნისის თვის ბოლოსთვის 8.87% შეადგინა. აქტიური მსესხებლების რაოდენობა ივნისის თვის ბოლოსთვის 10 ათასზე მეტი იყო, საიდანაც 70%-ს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სერვისცენტრები ემსახურებიან.

2025 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის „ემბისის“ მთლიანი ვალდებულებები 10.5%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო მოზიდული ფულადი სახსრების ზრდით, რომელმაც 9.15% (10 მილიონი ლარი)

შეადგინა. 2025 წლის პირველ ნახევარში მოზიდული სესხების ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ლარში და აშშ დოლარში იქნა მოზიდული. „ემბისი“ აქტიურად აგრძელებს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას და 2025 წლის მეორე ნახევარში დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვას გეგმავს, რომლის ნაწილით დაფინანსდება სასესხო პორტფელის ზრდა, ხოლო ნაწილით დაიფარება ვადამოსული ვალდებულებები.

„ემბისიმ“ 2025 წლის პირველ ნახევარში 22 მილიონი ლარის ობლიგაციები გამოუშვა, საიდანაც დიდი ნაწილით მოხდა კომერციული ბანკებისგან მოზიდული სესხების რეფინანსირება, ხოლო დარჩენილი ნაწილით საკრედიტო პორტფელის ზრდა დაფინანსდა. ობლიგაციების ვადად 2 წელი განსაზღვრა, რაც კომპანიას დაეხმარა მოზიდული სახსრების ვადიანობის გაზრდაში.

„ემბისის“ მთლიანი კაპიტალი, 2025 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის, 2024 წლის დეკემბრის თვესთან მიმართებაში, 18.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულის მიზეზი აკუმულირებული მოგების ზრდა იყო. 2025 წლის 6 თვის წმინდა მოგებამ 5 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მატერიალურად აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის შედეგებს (2024 წელს 6 თვის წმინდა მოგება 2 მილიონი ლარი იყო), რაზეც ძირითადი გავლენა შემცირებულმა საპროცენტო და ჰეჯირების ხარჯებმა და გადაფასებიდან მიღებული ზარალის მინიმუმზაცვამ მოახდინა. მოგების გენერაციაზე დადებითი გავლენა იქონია მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდამ და შესაბამისად, გაზრდილმა საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებმაც. 2025 წლის პირველ ნახევარში გაუმჯობესდა კომპანიის საკრედიტო რისკების მაჩვენებელიც. რეზერვის შეფარდება მთლიან სასესხო პორტფელთან, 2024 წლის დეკემბერთან მიმართებაში, 2.5%-ით შემცირდა (2024-ის დეკემბერში 4.16%, ხოლო 2025-ის ივნისში 1.66% იყო), აღნიშნულმა, თავის მხრივ, დადებით გავლენა იქონია ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალზე.

2025 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის, „ემბისი“ წარმატებით ასრულებდა ეროვნული ბანკისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებულ საზედამხედველო კაპიტალის, ლიკვიდობის კოეფიციენტებისა თუ სხვა ფინანსური მაჩვენებლების მოთხოვნებს.

### **კორპორაციული მდგრადობა**

„ემბისი“ მუდმივად ავითარებს კორპორაციული მდგრადობის მიმართულებას და მიზანმიმართულად მუშაობს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. საქმიანობაში სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით, კომპანიას თავისი წვლილს შეაქვს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, მათ შორის: SDG 1 – სიღარიბის აღმოფხვრა, SDG 3 – ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, SDG 4 – ხარისხიანი განათლება, SDG 5 – გენდერული თანასწორობა, SDG 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, SDG 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, SDG 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

მიმდინარე წლის განმავლობაში „ემბისი“ აგრძელებს კორპორაციული მდგრადობის ინიციატივებს, კერძოდ:

### **ფინანსური განათლების მხარდაჭერა**

„ემბისი“ ხელს უწყობს ფინანსური წიგნიერებას ამაღლებას ახალგაზრდებში და სკოლებში, ეროვნულ ბანკის ფინანსური განათლების პლაფტორმა „ფინედუსთან“ თანამშრომლობით, ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, კერძოდ:

### **• ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული კონკურსის მხარდაჭერა**

ტრადიციულად წელსაც, „ემბისი“ შეურთდა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღის აღნიშვნას და საქართველოს ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“

კონკურსის მხარდამჭერი იყო. კონკურსი 23 აპრილს დაიწყო და მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულმა სკოლებმა მიიღეს მონაწილეობა. კონკურსში გამარჯვებულ სკოლებს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სასკოლო ბიბლიოთეკაში „ფინედუს კუთხის“ მოსაწყობად საგანმანათლებლო მასალა გადასცა, „ემბისის“ მხარდამჭერით კი, კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულ მასწავლებლებს, პირადი სარგებლობისთვის, წიგნების გამომცემლობებისგან 130 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.

**• „ემბისის“ დესპანები სკოლებში**

ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში, „ემბისის“ დესპანები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 10 სკოლის 200-მდე მოსწავლეს შეხვდნენ და ფინანსების მართვის თემატიკაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახალისო გაკვეთილები ჩაუტარეს. აქტივობა გაიმართა ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელოსა და იმერეთის სკოლების III-XII კლასის მოსწავლეებისთვის. გაკვეთილებზე მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს ფულის დაზოგვის მეთოდების, დანაზოგების უსაფრთხოების, გონივრული ხარჯვის პრინციპებზე და სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებზე.

ფულის გლობალური კვირეული საქართველოში 2012 წლიდან იმართება, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით. კამპანიის მიზანია, ახალგაზრდებში ფულის დაზოგვის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება.

**ბალანსის შემდგომი მოვლენები და სამომავლო გეგმები**

ბაზარზე 12 წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, „ემბისი“ საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. 2024 წლის 5 დეკემბერს კომპანიამ ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია მიიღო და ამით სათავე დაუდო ქვეყანაში ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტების - მიკრობანკების განვითარებას.

მიკრობანკის სტატუსის მოპოვებასთან ერთად, „ემბისიმ“ ახალი პროდუქტები და მიმართულებები განავითარა, კერძოდ იზიდავს დეპოზიტებს, კლიენტებს მიმდინარე ანგარიშების მომსახურებას სთავაზობს, ასევე დაკრედიტების მაქსიმალური ლიმიტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეტაპობრივად ერთ მილიონ ლარს მიაღწევს. კომპანიის უმთავრესი ინტერესის სფერო კი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება იქნება.

მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების გარდა, 2024 წელი და 2025 წლის პირველი ნახევარი „ემბისისთვის“ სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი იყო, კერძოდ, კომპანიამ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2024 წლის დეკემბერში 30 მილიონი, ხოლო 2025 წლის მეორე კვარტალში დამატებით 22 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში „ემბისის“ მიერ განხორციელებული მესამე ემისიაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანიის ობლიგაციების ერთ-ერთ შემძენს საქართველოს საპენსიო ფონდი წარმოადგენს. ასევე, 2024 წლის მიწურულს, წამყვანმა ევროპულმა სარეიტინგო სააგენტო Scope Rating-მა „ემბისის“ საკრედიტო რეიტინგი B პოზიტიურიდან B+ სტაბილურამდე (B+ Stable) გაზარდა, რაც კომპანიის სტაბილურობისა და სანდოობის კიდევ ერთი დასტურია. მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობაც, რომელთა ჩამონათვალიც 2025 წლის პირველ ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა.

მიმდინარე წელი „ემბისისთვის“ საკვანძოა მიკრობანკად ტრანსფორმაციის ეტაპზე. კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა IT ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებით, რაც აუცილებელი წინაპირობაა მომხმარებლისთვის თანამედროვე საბანკო სერვისების შეთავაზების უზრუნველსაყოფად. 2025 წლის დასაწყისშივე დასრულდა მომხმარებლებისთვის მიმდინარე ანგარიშების გახსნის პროცესი. მიმდინარე წელს კომპანიამ მომხმარებლებს ახალი პროდუქტი -

მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტები შესთავაზა, ამასთან, დამატებით, იგეგმება არაერთი ფინანსური პროდუქტის დანერგვა.

2025 წელს კომპანია კვლავ აქტიურად აგრძელებდა მუშაობას კორპორაციული მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მოსწავლეების მხარდაჭერასა და მათი ფინანსური განათლების ხელშეწყობაზე, სოციალური საწარმოების განვითარებაზე, ასევე თანამშრომელთა კორპორაციული მოხალისეობის წახალისებაზე. საბანკო ტრანსფორმაციის პროცესში დაგეგმილია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მართვის სისტემის დანერგვა და მისი სრული ინტეგრირება კომპანიის რისკების მართვის საერთო ჩარჩოში.

მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი 2025 წელსაც გაგრძელდება და არანაკლებ მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე იქნება.